

ფუნქციური კონფლიქტის გავლენა ორგანიზაციაში თანამშრომელთა
კმაყოფილებაზე

ბექა ბურჭულაძე
ირინა მურცხვალაძე
დავით უნგიაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება
(მენეჯმენტი)

ასოცირებული პროფესორი: ბერიკა შუკაკიძე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2016

ანოტაცია

ორგანიზაცია, თავის საწყისშივე გულისხმობს ინდივიდებსა და ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო მიზნის მისაღწევად. მასში ხშირია კონფლიქტის შემთხვევები, როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ასევე ჯგუფთა შორის. საჭიროა ყურადღება დაეთმოს სამსახურეობრივი კონფლიქტების მართვას. გამოყოფილ იქნას ფუნქციური და დისფუნქციური კონფლიქტები. ასევე საჭიროა მოხდეს ფუნქციური კონფლიქტების დადებით მხარეთა გაანალიზება. იგი ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და სტიმულირებს ინდივიდების მიზნებისა და საქმიანობების ხელახალშეფასებაზე, რაც თავის მხრივ ამაღლებს მათი შრომის პროდუქტიულობას.

ნაშრომი მიზნად ისახავს ფუნქციური კონფლიქტების კორელაციის ასახვას ორგანიზაციის თანამშრომელთა კმაყოფილებასთან. შევეცადეთ წარმოგვეჩინა ფუნქციური კონფლიქტის დადებითი მხარეები და მასთან ერთად მისი დიდი როლი თანამშრომელთა კმაყოფილებასთან.

აღნიშნულ ნაშრომში ფუნქციური კონფლიქტის კორელაციის დასადგენად თანამშრომელთა კმაყოფილებასთან, ჩავატარეთ კვლევა ქალაქ თბილისის ექვს კერძო პრესტიჟულ სკოლაში. კვლევა ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდით, როგორც ელექტრონულად, ასევე პირისპირ გამოკითხვის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150 დასაქმებულმა. კითხვარის მიზანი იყო როგორც ფუნქციური კონფლიქტის, ასევე თანამშრომელთა კმაყოფილების დონის დადგენა.

კვლევის შეჯამების შედეგად დადგინდა ფუნქციური კონფლიქტის კორელაცია თანამშრომელთა კმაყოფილებასთან, კერძოდ ის, თუ როგორ ზრდის კმაყოფილებას ფუნქციური კონფლიქტი.

ANNOTATION

Organization from the beginning means individuals and groups who are united to achieve common goal, often there are conflict cases between separate individuals as well as groups, An attention should be paid on official conflicts management, functional and disfunctional conflicts must be designated, also it is needed to be analyzed the positive sides of functional conflicts, it promotes formation of new ideas and stimulates the re-valuation of individuals' goals and activities, that raises their labor productivity.

The work aims to reflect functional conflict correlation with satisfaction of organization's stuff, we tried to present positive sides of functional conflict and its role in staffs' satisfaction, in order to determine correlation between functional conflict and satisfaction we made research in six prestigious private school of Tbilisi, research was conducted with quantitative method, as electronically as well as face-to face survey method, IN the study participated 150 employed people, the questionnaire was aimed to find out the level of functional conflict and satisfaction at the same time.

After the findings we established correlation between functional conflicts and staff satisfaction.

Particularly how do functional conflicts raise satisfaction.

სარჩევი

შესავალი	5
1. კონფლიქტების თეორიული საფუძვლები ორგანიზაციაში	7
1.1. კონფლიქტების კონცეფცია და მისი როლი ორგანიზაციაში	7
1.2. კონფლიქტების კლასიფიკაცია და მისი სახეები	10
1.3. კონფლიქტების წარმოქმნა და მისი დინამიკა	16
2. კონფლიქტების ბუნება და ტიპოლოგია	22
2.1. კონფლიქტების ბუნება ორგანიზაციაში	22
2.2. კონფლიქტების ტიპოლოგია, ფუნქციური და დისფუნქციური კონფლიქტები	29
3. ფუნქციური კონფლიქტები და თანამშრომელთა კმაყოფილება	34
3.1. ფუნქციური კონფლიქტების მახასიათებლები და მისი დადებითი მხარე	34
3.2. კონფლიქტის მოგვარების გზები და მეთოდები	37
4. ფუნქციური კონფლიქტების კორელაცია კმაყოფილებასთან, თბილისის კერძო სკოლების მაგალითზე	43
4.1. საკვლევი ობიექტის მიმოხილვა (კერძო პრეტიჟული სკოლები ქალაქ თბილისში)	43
4.2. კვლევა და შედეგების შეჯამება	45
4.3. სტატისტიკური ანალიზი SPSS-ის მეშვეობით	56
დასკვნა	58
ლიტერატურა	65